შეიპების თეორიის მიღწევებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა ექვივარიანტული ჰომოტოპიის თეორიის განვითარებაზე ექვივარიანტული აბსოლუტური მიდამოებრივი რეტრაქტების ექვივარიანტული ჰომოტოპიის თეორიის გავრცელება ტოპოლოგიური ϰგუფის მოქმედების მქონე ზოგად ტოპოლოგიურ სივრცეებამდე ტოპოლოგიურ გარდაქმნათა ϰგუფების თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხთაგანია. ეს საკითხი პირველად გამოკვლეული იქნა ი. მ. სმირნოვის მიერ, სადაც მან შეისწავლა რეტრაქტების და შეიპების თეორიის ექვივარიანტული ასპექტები.

კლასიკური შეიპური თეორიის ასევე მნიშვნელოვან და საინტერესო მიმართულებას წარმოადგენს უწყვეტ ასახვათა შიპური თეორია. ამ მიმართულებით ვ. ბალაძის მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე აგებულ იქნა უწყვეტ ასახვათა ფიბრაციული შეიპური კატეგორია.

ექვივარიანტულ ასახვათა კატეგორიის ექვივარიანტული აბსოლუტური (მიდამოებრივი) რეტრაქტები და ექსტენზორები გამოკვლეულ იქნა მ. ძაძამიას მიერ. ვ.ბალაძის და მ. ძაძამიას მიერ მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელი იქნა $\boldsymbol{G}$ −ასახვათა ფიბრაციული რეზოლვენტების შესწავლა, კერძოდ განიმარტა $\boldsymbol{G}$ −ასახვის ექვივარიანტული ფიბრაციული რეზოლვენტა, დამტკიცდა, რომ ნებისმიერ ექვივარიანტულ ასახვას გააჩნია ექვივარიანტული ფიბრაციული რეზოლვენტა. უწყვეტ ასახვათა შეიპური კატეგორიის აგებისას მიღებული შედეგებზე დაყრდნობით, ვ.ბალაძის მიერ გამოყენებული მეთოდებით მოხდა ამ შედეგების სამართლიანობის დასაბუთება $\boldsymbol{G}$ −ასახვების კატეგორიისთვის. მ.ძაძამიას მიერ $\boldsymbol{G}$ −ასახვების აბსოლუტური (მიდამოებრივი) ექვივარიანტული რეტრაქტებისა და ექსტენზორების თვისებების გამოყენებით შესაძლებელი შეიქნა $\boldsymbol{G}$ −ასახვათა კატეგორიისთვის შიპური თეორიის აგება და გამოკვლევა.